

AI - ხელოვნური ინტელექტი პრაქტიკაში

ლექტორი

გიორგი ბასილაია

კურსის მიზანი

AI - ხელოვნური ინტელექტი პრაქტიკაში კურსის მიზანია მსმენელებს მისცეს ფუნდამენტური და პრაქტიკული ცოდნა უახლესი გენერატიული AI მოდელების შესახებ. მონაწილეები სიღრმისეულად შეადარებენ ChatGPT, Claude, Gemini-სა და Grok-ს, დაეუფლებიან პრომპტ ინჟინერიის მონაწილე ტექნიკებს და ისწავლიან სამუშაო ამოცანებისთვის საუკეთესო მოდელების შერჩევას.

კურსის დრო

10 შეხვედრა (26 საათი)

კურსის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან მაღალხარისხიანი ვიზუალების გენერაციას (Midjourney, Flux.1, DALL-E, Nanobanana), ვიდეოების წარმოებას (Sora, RunwayML, Pika, HeyGen), მუსიკის გენერაცია და ხმის კლონირებას (Suno, ElevenLabs) და პრეზენტაციების აწყობას Gamma-თი. ინოვაციური მეთოდოლოგიებით (SCAMPER, TRIZ, Miro Assist) ისინი შეძლებენ იდეების ვალიდაციასა და MVP-ის დაგეგმვას.

ყურადღება დაეთმობა კვლევას, ანალიტიკასა და პროდუქტიულობას Perplexity-ის, NotebookLM-ის, Notion AI-ისა და Google Workspace AI-ის დახმარებით. მონაწილეები ააწყობენ მარტივ ავტომატიზაციებს (Make.com, n8n), შექმნიან ვებ აპლიკაციებს No-code პლატფორმებით (Lovable.dev).

მსმენელები დააკონფიგურირებენ პერსონალურ Custom GPT-ებსა და Claude Projects-ს საკუთარი ცოდნის ბაზით, შეისწავლიან მონაცემთა უსაფრთხოებასა და AI ეთიკას და წარადგენენ დასკვნით Capstone პროექტს.

პროგრამა უზრუნველყოფს AI-ს სრულ ინტეგრირებას ნებისმიერ პროფესიაში, ოპტიმიზებული Workflow-ების შექმნას და პროდუქტიულობის მაქსიმალურ ზრდას.

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: გენერაციული AI-ს შესავალი, CHATGPT და AI-ს შეზღუდვები (3 საათი)

- AI-ის ისტორია, ევოლუცია და 2026 წლის ლანდშაფტი
- ChatGPT, Claude, Gemini - შედარება და პირველი ნაბიჯები
- AI-ის შეზღუდვები და ჰალუსინაციები - როგორ ამოვიცნოთ
- კრიტიკული აზროვნება AI-ის გამოყენებისას

ლექცია 2: PROMPT ENGINEERING - მითითებების ინჟინერია

- CLEAR ჩარჩო და სტრუქტურირებული მითითებები
- Few-shot, Zero-shot და Chain-of-Thought ტექნიკები
- როლზე დაფუძნებული პრომპტები
- საუკეთესო პრაქტიკები და პრომპტ-ბიბლიოთეკა

ლექცია 3: ტექსტის გენერაცია, კრეატიული იდეაცია და სოციალური მედია

- ტექსტის გენერაცია სხვადასხვა ფორმატსა და სტილში
- კრეატიული იდეაციის ტექნიკები (SCAMPER, TRIZ, Brainstorming)
- სოციალური მედიის კონტენტი: LinkedIn, Instagram, TikTok
- კეპშენები, სკრიპტები, ჰეშთეგები და კონტენტ-კალენდარი

ლექცია 4: ინფორმაციის მოძიება, კვლევა და პირადი ცოდნის ბაზა

- Perplexity AI - Google-ის ჩანაცვლება AI ძიებით
- AI-ზე დაფუძნებული კვლევის ტექნიკები
- NotebookLM - „ისაუბრე შენს დოკუმენტებთან“
- Notion AI - ცოდნის ბაზის მართვა და ავტომატიზაცია

ლექცია 5: ვიზუალური კონტენტი და პრეზენტაციები

- სურათების გენერაცია: Midjourney, DALL-E, Ideogram, Canva AI
- პრომპტ-ინჟინერია ვიზუალებისთვის
- პრეზენტაციები Gamma-ით - სლაიდების ავტომატური შექმნა
- სოციალური მედიის ვიზუალები და ბრენდინგი

ლექცია 6: აუდიო, ხმა და ვიდეო გენერაცია

- მუსიკის გენერაცია: Suno AI, Udio
- ხმის გენერაცია და კლონირება: ElevenLabs
- ვიდეო AI: RunwayML, Pika, HeyGen (AI ავტარები)
- YouTube, TikTok და Shorts კონტენტის ოპტიმიზაცია

ლექცია 7: ავტომატიზაცია, NO-CODE ხელსაწყოები, AI AGENTS და NOTION AI

- Make.com - სამუშაო პროცესების ავტომატიზაცია
- Zapier - მიმოხილვა და შედარება
- AI Agents - ავტონომიური ამოცანების შესრულება
- Notion AI - სამუშაო სივრცის ავტომატიზაცია

ლექცია 8: NO-CODE DEVELOPMENT - ვებ-აპლიკაციების შექმნა

- ovable.dev - ვებ-აპის შექმნა ტექსტური მითითებებით
- Cursor - AI-ზე დაფუძნებული კოდ-ედიტორი
- Bolt.new, Replit Agent
- პრაქტიკული პროექტი: Landing Page-ის შექმნა

ლექცია 9: CUSTOM AI ასისტენტები, უსაფრთხოება და სოციალური მედიის ავტომატიზაცია

- ChatGPT Custom GPTs - შექმნა და კონფიგურაცია
- Claude Projects - პერსონალური AI სამუშაო გარემო
- AI უსაფრთხოება, Data Privacy და ეთიკა
- სოციალური მედიის AI ინსტრუმენტები და ავტომატიზაცია

ლექცია 10: SUMMARY, AI PLAYBOOK და პროექტების პრეზენტაცია (3 საათი)

- კურსის შეჯამება და ძირითადი გზამკვლევი
- AI Playbook - პირადი AI სტრატეგიის დოკუმენტი
- სტუდენტების პრეზენტაციები

სასწავლო კურსის შედეგები

კურსის დასრულების შემდეგ მსმენელი შეძლებს:

- ახსნას, რა არის გენერატიული ხელოვნური ინტელექტი, რით განსხვავდება ტრადიციული AI-ისგან და შეადაროს წამყვანი მოდელები: ChatGPT (OpenAI), Claude (Anthropic), Gemini (Google) და Grok (xAI);
- გამოიყენოს ChatGPT-ის ინტერფეისი, ძირითადი ფუნქციები და გაიგოს AI-ის ევოლუცია LMSYS Chatbot Arena-ს რეიტინგებზე დაყრდნობით;
- დანეროს მარტივი პრომპტები ყოველდღიური ამოცანებისთვის და გამოიყენოს CLEAR Framework სტრუქტურირებული მოთხოვნების შესაქმნელად;
- განასხვავოს Few-shot და Zero-shot Learning ტექნიკები და გამოიყენოს Chain-of-Thought მიდგომა რთული ამოცანებისთვის Claude-ის (დიდი კონტექსტისთვის) და Gemini-ს მეშვეობით;
- შექმნას როლზე დაფუძნებული პრომპტები სხვადასხვა სცენარისთვის და აწარმოოს ტექსტი სხვადასხვა ფორმატში (სტატია, პოსტი, ელფოსტა, ანგარიში) Claude-ის გამოყენებით (განსაკუთრებით ქართულ ენაზე);
- აკონტროლოს ტონი და სტილი აუდიტორიის მიხედვით, შეაჯამოს და დაარედაქტიროს ტექსტები ChatGPT-ისა და Notion AI-ის მეშვეობით;
- გამოიყენოს AI ბრენშტორმინგისთვის და ახალი იდეების გენერაციისთვის ინოვაციური ფრეიმვორკების (SCAMPER, TRIZ) და Miro (Miro Assist) ვირტუალური დაფის დახმარებით;
- მიიღოს სწრაფი და ზუსტი პასუხები სამუშაო კითხვებზე Perplexity-ით, გადაამოწმოს ფაქტები, შეაფასოს წყაროს სანდოობა და გამოიყენოს NotebookLM დოკუმენტების სიღრმისეული ანალიზისთვის;
- შეაფასოს და დაავალიდეროს იდეები AI-ის დახმარებით, შეადაროს ვარიანტები და დაგეგმოს MVP (Minimum Viable Product) კონცეფცია;
- გამოიყენოს AI მომხმარებელთა მომსახურებაში (Customer Service), გაყიდვებსა და მარკეტინგში, მოარგოს ტექნოლოგია თავის კონკრეტულ ინდუსტრიას და განავითაროს პრაქტიკული Use Case-ები;

- შექმნას ოპტიმიზებული სამუშაო ნაკადები (Workflow-ები) რუტინული ამოცანებისთვის, ააწყოს პერსონალური პრომპტების ბიბლიოთეკა და გაზომოს პროდუქტიულობა Notion AI-ის ინტეგრაციით;
- შექმნას მაღალი ხარისხის სურათები Midjourney, DALL-E, Flux.1 და Canva AI-ის გამოყენებით, დაწეროს ეფექტური ვიზუალური პრომპტები და დაამუშაოს გამოსახულებები Nanobanana-თი;
- შექმნას პროფესიონალური პრეზენტაციები და ვებგვერდები Gamma-თი, აწარმოოს მუსიკა Suno AI-ისა და Udio-ს მეშვეობით და გამოიყენოს ElevenLabs ხმის გენერაციისა და Voice Cloning-ისთვის;
- შექმნას ვიდეოკონტენტი RunwayML, Pika, Sora და HeyGen-ით (ავატარები/თარგმნა), მოახდინოს ოპტიმიზაცია YouTube-ისა და TikTok-ისთვის და ააწყოს ავტომატიზაცია Make.com, n8n ან Zapier პლატფორმებით;
- შექმნას ვებ აპლიკაციები Lovable.dev-ით, გამოიყენოს Cursor, Bolt.new და Replit Agent კოდირებისთვის, დააკონფიგურიროს Custom GPTs/Claude Projects და წარადგინოს ფინალური Capstone პროექტი ეთიკისა და უსაფრთხოების წესების დაცვით.

კურსში განხილული AI ინსტრუმენტები

- ChatGPT
- Claude
- Gemini
- Google AI Studio
- Lovable
- Make.com
- Notion AI
- n8n
- NotebookLM
- HeyGen
- Midjourney
- Miro
- Nanobanana
- Perplexity
- LMSYS Chatbot Arena
- Gamma
- ElevenLabs
- Suno AI
- RunwayML
- Grok
- Flux.1

ლექტორის შესახებ

- გიორგი ბასილაია 25 წელზე მეტია ტექნოლოგიების სფეროში მუშაობს და ამ პერიოდში გაიარა გზა მკვლევრიდან უნივერსიტეტის პროფესორამდე და დამწყები ტექნიკოსიდან IT დეპარტამენტის ხელმძღვანელამდე;
- გიორგის გამოცდილება აერთიანებს როგორც აკადემიურ საქმიანობას, ისე პრაქტიკულ მენეჯერულ მუშაობას თანამედროვე ტექნოლოგიებთან. წლების განმავლობაში ის თანამშრომლობდა ისეთ გლობალურ კომპანიებთან, როგორიცაა Google, Microsoft, Amazon, IBM, Dell, HP-Enterprise, VMWare და სხვა;
- მისი საქმიანობის მიმართულებებია:
 - ხელოვნური ინტელექტის გამოყენება რეალურ ამოცანებში და პროფესიულ სფეროებში;
 - კიბერუსაფრთხოება და ინფორმაციული სისტემების დაცვა;
 - No-Code და ავტომატიზაციის ინსტრუმენტები, რომლებიც ამარტივებს ყოველდღიურ სამუშაო პროცესებს;
 - განათლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა.
- გიორგი არის:
 - 14 სამეცნიერო სტატიის ავტორი საერთაშორისო ჟურნალებში (3388 ციტირებით Google Scholar-ის მიხედვით);
 - 10 საერთაშორისო კონფერენციის მომხსენებელი;
 - 18 საერთაშორისო კვლევითი პროექტისა და გრანტის მონაწილე ან ხელმძღვანელი (NATO, USAID, ERASMUS და სხვ.).
- მისი სწავლების სტილი დაფუძნებულია პრაქტიკაზე - ყოველი თეორიული თემის შემდეგ სტუდენტები მუშაობენ რეალურ ამოცანებზე. ეს მიდგომა კურსს აქცევს არა მხოლოდ ინფორმაციულს, არამედ პრაქტიკულ გზამკვლევად, რომელიც აუდიტორიას ეხმარება AI-ის ინტეგრირებაში საკუთარ სამუშაოსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.